

ტესტის სახელწოდება

ამიაკი (NH₃)

რას იკვლევს მოცემული ტესტი?

მოცემული ანალიზი სისხლში ან პლაზმაში ამიაკის კონცენტრაციას განსაზღვრავს.

ამიაკი (NH₃) ცილების მეტაბოლიზმის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენი პროდუქტია. ღვიძლში მისი შარდოვანად გარდაქმნა ხდება, ხოლო შარდოვანა კი თირკმელებით გამოიყოფა ორგანიზმიდან.

თუკი ღვიძლის მიერ ამიაკის გარდაქმნის ან მისი ორგანიზმიდან გამოყოფის პროცესი დარღვეულია, ამიაკი შეიძლება ჭარბად დაგროვდეს. ჭარბი რაოდენობით დაგროვილი ამიაკი ტოქსიურია ცენტრალური ნერვული სისტემისთვის — მან შეიძლება გამოიწვიოს ღვიძლისმიერი ენცეფალოპათია, კომა და სიცოცხლისათვის საშიში გართულებები.

ამიაკის ჭარბად დაგროვება შეიძლება გამოიწვიოს ღვიძლის ფუნქციის დაქვეითებამ, რაც თავის მხრივ ღვიძლის ციროზის ან ზოგიერთი სხვა დაავადების შედეგი შეიძლება იყოს.

ამის გარდა, ჩვილების შემთხვევაში, ამიაკის მაღალი კონცენტრაცია შეიძლება დაკავშირებული იყოს ზოგიერთი ფერმენტის დეფიციტთან და ამიაკის მეტაბოლიზმის მემკვიდრულ დარღვევებთან.

რისი დიაგნოსტიკისთვის ინიშნება?

ამიაკის ანალიზი ინიშნება მაშინ, როდესაც პაციენტს აღენიშნება ამიაკის ჭარბ დაგროვებასთან დაკავშირებული სიმპტომები.

ეს ანალიზი ხშირად გამოიყენება ღვიძლისმიერი ენცეფალოპათიისა და ღვიძლისმიერი კომის დიაგნოსტიკისას.

ამიაკის ანალიზი ასევე ინიშნება, როდესაც პაციენტს ღვიძლის დაავადება აღენიშნება ან როდესაც ეჭვი აქვთ რეიეს სინდრომის არსებობაზე.

როგორ კეთდება ეს ტესტი?

ამ ანალიზისთვის საჭიროა ვენიდან სისხლის ნიმუშის აღება.

როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის?

ეს ანალიზი სპეციალურ მომზადებას არ საჭიროებს.

შედეგების ინტერპრეტაცია

ანალიზის შედეგების ინტერპრეტაცია აუცილებლად ექიმის მიერ უნდა მოხდეს.

ზოგადად, ამიაკის მომატებული კონცენტრაცია შეიძლება იმაზე მიანიშნებდეს, რომ ღვიძლში მისი ადეკვატური გარდაქმნა და საბოლოოდ, მისი ორგანიზმიდან გამოყოფა შეფერხებულია.

ამიაკის მომატებული კონცენტრაცია ღვიძლის ფუნქციის დაქვეითებისას გვხვდება, მაგალითად ღვიძლის ციროზისა და ღვიძლის უკმარისობის დროს. ამიაკის დონე მაღალია რეიეს სინდრომის დროსაც.

ღვიძლისმიერ ენცეფალოპათიას, ჩვეულებრივ, თან ახლავს ამიაკის დონის მაღალი კონცენტრაცია, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ამიაკის დონის მომატება ღვიძლისმიერი ენცეფალოპათიის ხარისხს შეიძლება არ შეესაბამებოდეს. მეტიც, ამიაკის ნორმალური დონე ღვიძლისმიერი ენცეფალოპათიის არსებობას არ გამოორიცხავს.

გარდა ამისა, ამიაკის მომატება ზოგჯერ შეიძლება გამოიწვიოს ცილების ჭარბად მიღებამ, გასტროინტესტინურმა სისხლდენამ, თამბაქოს მოწევამ, ალკოჰოლმა.

ზოგიერთი მედიკამენტის მიღება ამიაკის კონცენტრაციის მომატებას იწვევს, ზოგი კი, პირიქით – აქვეითებს მას.

მნიშვნელოვანია, რომ ანალიზისთვის სისხლის ნიმუშის აღებისა და ტრანსპორტირების შესაბამისი წესები ზუსტად იყოს დაცული, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ტესტის შედეგები შესაძლოა მცდარი იყოს.

გამოყენებული წყაროები

1. Ammonia | Lab Tests Online. <https://labtestsonline.org/tests/ammonia>. Accessed 13 July 2021.
2. NH3V - Overview: Ammonia, Plasma. <https://www.mayocliniclabs.com/test-catalog/Overview/35130>. Accessed 13 July 2021.